მოსწავლის ბიბლიოთეკა

ძმები გრიმების ზღაპრები

ილუსტრატორი **ნათია კვარაცხელია**

გერმანულიდან თარგმნა **დავით წერედიანმა**

ბაკურ სულაკაურის
გამომცემლობა

სარჩევი

ჩიტბატონა 5
შვიდი შუბოსანი 12
გულადი თერძი 20
ოქროს ბატი 37
ბაყაყ-ხელმწიფე და სამრკინა მსახური 44
ყმაწვილი გოლიათი 51
შაშვიწვერა ხელმწიფე 67
კარგი ნავაჭრი 77
მეთევზე და მისი ცოლი 88
ჩექმებიანი კატა 97
ჯილღო-მილღო 107
შიშის სასწავლად გამგზავრებული ბიჭის ზღაპარი 111
პირითოვლისა და პირივარდისა 128
ფართალ-ფურთალა 139
საზრიანი გრეტელი 145
ჭკვიანი ელზე 150
ყოვლისმცნობელი აქიმ-ვაქილ-მწიგნობარი 156
ოსტატი ფრიმი 160
კურდღელი და ზღარბი 167
ბრემენელი მუსიკოსები 174

ჩიცბაცონა

ძველ დროში ყოველი ხმა და ჩქამი, დღეს რომ უაზრო ხმაური გვგონია, მხოლოდ აზრიან სიტყვებს, ყველასთვის გასაგებ სათქმელს ამბობდა. მჭედელი რომ გრდემლზე ურო ურტყამს, თუ ყურს მიუგდებთ, დღესაც გარკვევით გაიგონებთ: „დაჰკა-დაჰკარი – დაჰკა-დაჰკარი – დაჰკა-დაჰკარი“! დურგალი რომ ფიცარზე შალაშინს გადააატარებს, სულ ადვილი გასარჩევია, ეს ხმა რასაც ამბობს: „ვაშალაშინოთ – ვაშალაშინოთ – ვაშალაშინოთ“!

წისქვილის დოლაბები ტრიალს რომ დაიწყებენ, ასე ილოცებიან: „ღმერთო, ბარაქა – ღმერთო, ბარაქა – ღმერთო, ბარაქა“! თუ მეწისქვილე ქურდი და მპარავია, წისქვილი ჯერ აუჩქარებლად იკითხავს: „იცით, ეს ვინ არის? – იცით, ეს ვინ არის“? მერე თანდათან სისწრაფეს მოუმატებს და თავის თავს თვითონვე ეპასუხება: „ხელმრუდია – ხელმრუდია – ხელმრუდია“! სარეკელა კი დამცინავად რიკინებს: „სათავისოდ ჩარეკს – ბათმანიდან ჩარექს“!

ფრინველების ენაც, დღეს რომ მხოლოდ ჭიკჭიკად და ჟღურტულად, ღუღუნად თუ კრიახად, ყაშყაშად თუ ყივილად გვეყურება, ანდა, სულაც, უს-

იტყვებო სიმღერა გვგონია, სინამდვილეში სულ აზ-
რიანი ლაპარაკია. არის ერთი ფრინველი, ჭაობში
ბუდობს, სახელად პრანწია ჰქვია. თუ მისი ხმისთვის
როდისმე ყური მოგიკრავთ, აშკარად გაარჩევდით,
რასაც გაიძახის: „სად შევეფარო – სად შევეფარო –
სად შევეფარო“! არადა, თუ იცით, რატომ გაიძახის?
სანაძლეოს დავდებ, არ გეცოდინებათ.

ერთხელ, დიდი ხნის წინათ, ფრინველებმაც, სხვა-
თა მსგავსად, მეფის არჩევა გადაწყვიტეს. ყველამ
დასტური თქვა, მხოლოდ პრანწიას არ მოეწონა
ეს ამბავი, – მეფე და ბატონი რას მიქვია, მთელი
ცხოვრება თავისუფალი ფრთოსანი ვიყავი და თავი-
სუფალ ფრთოსნადვე მინდა, მოვკვდეო. გაუბრაზ-
დნენ დანარჩენი ფრინველები, როგორ თუ საერთო
აზრს გაუდექიო! მოღალატედ გამოაცხადეს, ფეხი
არსად მოაკიდებინეს. საბრალო პრანწია დაფეთე-
ბული დაფრინავდა აქეთ-იქით და განწირული ხმით
გაჰკიოდა:

– სად შევეფარო! სად შევეფარო! სად შევეფარო!

ბოლოს გაუვალ ჭაობებს მიაშურა და დღემდე იქ
ბინადრობს.

ფრინველთა მეფის არჩევა კი ასე მოხდა.

შეიკრიბა ყოველი ფრინველი, ტოროლა თუ ნიბ-
ლია, მტრედი თუ ქედანი, ყვავი თუ ჭოტი, ორბი თუ
არწივი, ყველას რა ჩამოთვლის. მოფრინდნენ თა-
ვიანთი ტყეებიდან თუ ველ-მინდვრებიდან, ზოგი –

ფარფატით, ზოგი – ფართქალით, ზოგიც – ვეება ფრთების ტყლაშუნით. ყველაზე წინ ერთი ნამლევა ჩიტი მოწიწინდა, რა ერქვა და, ჯერ არაფერიც არ ერქვა, სახელიც კი არ ჰქონდა.

ვასაკამ, ხის ბაყაყმა, ეს ამდენი ფრინველი ერთად თავშეყრილი რომ დაინახა, იფიქრა, ჩემს სამტროდ შეკრებილანო, და ავად აკრუალდა, სუყველას წყევლა და კრუ-კრუ-კრულვა შეუთვალა, დარწმუნებულმა, რომ ამით დიდ ზიანს მოსწევდა. გაიგონა ყვავმა და ჭკუათხელ ვასაკას თავისი წყევლა უკანვე მიუბრუნა, – შენზევე ამხდარიყოს, შე ავსიტყვა მყვა-ყვა-ყვაროო! არადა, გულის სიღრმეში წყევლისა სრულებითაც არ ეშინოდა, გამოცდილებით იცოდა, რომ არაფერი ზიანის მომტანი ეგ არ იყო.

ფრინველების კრებამ ერთხმად გადაწყვიტა, მეფედ ის აერჩიათ, ვინც ყველაზე მაღლა აფრინდებოდა. დათქმულ ნიშანზე წამოიშალა ფრინველთა მთელი ლაშქარი, შეიქმნა ფრთების შხუილი თუ ფართქალი. ცა ისე გადაბნელდა, გეგონებოდა, დიდმა შავმა ღრუბელმა გადაუარაო.

პატარა ჩიტებს ძალა მალევე გამოელიათ და ძირს დაბრუნდნენ. დიდ-დიდმა ფრინველებმა მეტხანს იფრინეს, მაგრამ არწივს ვერავინ გაუწია მეტოქეობა, იქამდე იფრინა, სანამ მზეს თვალებში არ ჩააჩერდა. როცა დარწმუნდა, რომ ყველანი შორს ჩამოიტოვა, გამარჯვების ნიშნად ერთი ამაყად და-

ჰყივლა და ნელა-ნელა დაბლა იწყო დაშვება. ქვემოდან ფრინველების ყიჟინაც ამოესმა, – მეფე ხარ, ჩვენი ბატონი და მბრძანებელიო.

უსახელო ნამლევა ჩიტი, თურმე ნუ იტყვით, მის ბუმბულში შემალულიყო, გამოძვრა და, რაკი ფრთები დაღლილი არ ჰქონდა, კიდევ უფრო მაღლა აფრინდა.

– ჩიტთ-ბატონი ვარ, ფრინველთა მეფე, ჩიტთ-ბატონი ვარ! – დასწივლა და გახარებული ისიც ძირს დაეშვა.

– როგორ თუ ჩიტთ-ბატონი ხარ! – აღშფოთდნენ ფრინველები, – ყველაზე მაღლა მხოლოდ ეშმაკობით აფრინდი!

– მერე რა, მერე რა! ეშმაკობაც ხომ საქმეა, ეშმაკობაც ხომ საქმეა! ჩიტთ-ბატონი ვარ, ჩიტთ-ბატონი ვარ!

გამოეკიდნენ ფრინველები, რომ თაღლითობისთვის სასტიკად დაესაჯათ, მაგრამ გაასწრო და მიწაში ჩაძვრა. დაუწყეს ძებნა, ყველაზე გამალებით მამალი იქექებოდა. იხვმა ნისკარტიც კი იტკინა და აყვიტყვიტდა:

– ჭირმა გაწყვიტ-ყვიტ-ყვიტოს შენი ჯიში და ჯილაგი!

როცა ეგონა, ახლა კი მივაგენიო, ნამლევამ მოშორებით თავი თაგვის სოროდან ამოყო და დაიწივლა:

– ჩიტთ-ბატონი ვარ, ჩიტთ-ბატონი ვარ!

რაკი ვერა და ვერ დაიჭირეს, გადაწყვიტეს, სოროდან არ ამოეშვათ, რომ იქ შიმშილით სული ამოხდომოდა, მაგრამ ბევრი ფრენისგან ისე იყვნენ დაღლილ-დაქანცული, შინ წასვლა და დაძინება ყველაფერს ერჩიათ. ამიტომ დარაჯად ბუ დატოვეს. გააფრთხილეს, იცოდე, არ გაგექცეს, თორემ მწარედ განანებთო. თვითონ კი თავ-თავიანთ ბუდეებს მიაშურეს. მართალია, არც ბუ იყო სხვებზე ნაკლებ დაღლილი, მაგრამ, რაკი დიდი თავი ჰქონდა, ყველას სადარდელი მას უნდა ედარდა.

დარჩა ბუ სოროს წინ მარტო. დიდრონი თვალები შესასვლელისთვის მიეშტერებინა და ძილს ვაჟკაცურად უმკლავდებოდა. ბოლოს იფიქრა, მოდი, ცალ თვალს დავხუჭავ, მეორე გახელილი მექნება და მაინც ვერსად წამივაო.

დახუჭა ცალი თვალი, მეორით კი ისევ თაგვის სოროს დასჩერებოდა. ცოტა ხანში ნამლევამაც გამოიჭყიტა, იქნებ ჩუმად გაპარვა მოვასწროო, მაგრამ ბუმ მაშინვე კისერი წაიგრძელა და ნამლევამ თავი სასწრაფოდ უკანვე შემალა.

ბუ რიგრიგობით ხან ერთ თვალს დახუჭავდა და ხან მეორეს, მაგრამ ერთხელაც ცალი თვალი რომ დახუჭა, მეორის გახელა დაავიწყდა და ჩაეძინა. ნამლევამაც დრო იხელთა, გამოხტა თაგვის სოროდან და თავს უშველა.

მას აქეთ ბუ დღისით აღარავის ენახვება. ეშინია, რომ ფრინველებმა მუქარა არ შეუსრულონ. მართლაც, თუ დღისით გამოსულს სადმე დაინახავენ, უკნიდან მიეპარებიან და ბუმბულს აცლიან. მხოლოდ ღამღამობით გამოფრინდება ხოლმე და ყველაზე მეტად თაგვებს ემტერება. იმის გამოა გაბრაზებული, ასეთი მაკვარანცხული სოროების გაკეთება რომ იციან.

პატარა ჩიტუნას დანახვაც ძალიან ძნელია, სულ ბუჩქებსა და ღობე-ყორეში იმალება, – მომიხელთებენ და კარგ დღეს არ დამაყრიანო. მაგრამ თუ საფრთხე არსაიდან ემუქრება, შეიფრთხიალებს ხოლმე და ყურისწამღებად დასწივლებს:

– ჩიტთ-ბატონი ვარ! ჩიტთ-ბატონი ვარ!

ჰოდა, ფრინველებიც დაცინვით ჩიტბატონას ეძახიან.

ტოროლა დღემდე გახარებულია, რომ უსახელო ნამლევას ქვეშევრდომობა ასცდა. მზის პირველ სხივზე ცაში აიჭრება და ველ-მინდვრებს ედება მისი ხალისიანი რაკრაკი:

– ახ, რა კარგია, რა კარგია, რა კარგია!

შვიდი შუბოსანი

გერმანიის ერთ მშვენიერ კუთხეში, შვაბეთის მხარეში, სახელისათვის გულანთებულმა შვიდმა შვაბმა გადაწყვიტა, ფათერაკების საძებრად გამგზავრებულიყო, ფათერაკების საძებრად და სავაჟკაცო საქმეთა ჩასადენად.

პირველი ბატონი შულცი იყო,

მეორე – იაკლი,

მესამე – მარლი,

მეოთხე – იერგლი,

მეხუთე – მიხალი,

მეექვსე – ჰანსი,

მეშვიდე – ფაიტლი.

მაგრამ გზა ხიფათიანია და იარაღი ხომ უნდა ჰქონოდათ, რომ უფრო იმედიანად ევლოთ, იარაღი კი, რა დასამალია და, არ ჰქონდათ.

იფიქრეს, იფიქრეს და ბოლოს ასეთი რამ მოიფიქრეს: აიღეს ერთი მსხვილი ძელი, თავი წაუწვეტეს და მშვენიერი შუბი გამოუვიდათ. მშვენიერი შუბი კი გამოუვიდათ, მაგრამ რად გინდა: იმსიმძიმე გამოდგა, ერთი კაცი შორ გზაზე მარტო ვერ ზიდავდა.

იფიქრეს, იფიქრეს და აქაც მონახეს გამოსავალი:

მწკრივად დადგნენ, შუბი მხარზე გაიდეს და ყველამ ერთად ხელი ჩასჭიდა.

ასე დაიძრა შვაბთა რაზმი ფათერაკების საძებრად და სავაჟკაცო საქმეთა ჩასადენად.

წინ ბატონი შულცი მიუძღოდათ, ყველაზე მხნე და მამაცი ეგ ჰყავდათ, დანარჩენები უკან მიჰყვებოდნენ, სულ ბოლოში ფაიტლი მიჩანჩალებდა.

თიბათვის მშვენიერი დღე იყო. თავიანთ სოფელს უფათერაკოდ გასცდნენ და კარგა მანძილი გაიარეს, მაგრამ გზა გაიწელა და გაიწელა, მეზობელი სოფელი კი, სადაც ღამის გათევას აპირებდნენ, არა და არ გამოჩნდა.

ამასობაში კიდევაც მოსაღამოვდა. ჰოდა, ამ ბინდბუნდში, ამ უცხო და უკაცრიელ ადგილას, რა გასაკვირია, ცოტა შიში შესდგომოდათ. სწორედ ამ დროს, განზრახ იყო თუ შემთხვევით, ბუჩქს უკან, სათიბის პირას, ხარაბუზამ თუ რომელიღაც ხოჭომ უეცრად მტრული ბღუილი ატეხა.

შეკრთა ბატონი შულცი, შუბს ხელი უშვა, ტანზე ცივმა ოფლმა დაასხა.

– გესმით? გესმით? – მიუბრუნდა დანარჩენებს, – ნაღარის ხმაა! მტრის ჯარი გვიახლოვდება!

მის უკან ჯერაც შუბსჩაჭიდებული იაკლი იდგა. კაცმა არ იცის, რა იყნოსა, მაგრამ ასეთი რამ კი თქვა:

– არა, აქ ნამდვილად ცუდი ამბავია! გეუბნებით, დენთის სუნი მეცა!

ბატონმა შულცმა ეს რომ გაიგონა, გულგახეთქილმა ფეხი იშვირა და სათიბის ღობეს ელვის სისწრაფით ზედ გადაევლო.

არადა, სათიბში მაინცდამაინც იმ ადგილას ფოცხი გდებულიყო, მფოცხავებს შინ წაღება დაზარებოდათ და სახვალიოდ სათიბშივე დაეტოვებინათ. ფოცხი კი, მოგეხსენებათ, რა მარცხიანი რამ არის, შემთხვევით ფეხი თუ დაგებიჯა, აიმართება და ტარი შიგ სახეში მოგხვდება. ბატონი შულცი – ფეხის დაბიჯება რაღა სათქმელია! – ზედ მთელი სიმძიმით დაახტა. ჰოდა, ფოცხის ტარიც სახეში ისეთი ძალით ეძგერა, კინაღამ შუბლის ძვალი შეულეწა.

– ა-ვა-ვა-ვაა! – იღრიალა ბატონმა შულცმა, – გნებდებით, გნებდებით! ტყვედ გბარდებით!

ამის გაგონებაზე დანარჩენმა ექვსმაც შუბს ხელი უშვა და ღობეს კისრისტეხით გადაევლო. ყველანი ბატონ შულცს ამოუდგნენ გვერდით და ერთხმად აღრიალდნენ:

– გნებდებით, გნებდებით! ტყვედ გბარდებით!

იდგნენ ხელებაწეულნი და მთელი ხმით ყვიროდნენ. იყვირეს, იყვირეს და როცა ყვირილით დაიღალნენ, მათი ტყვედწამყვანი კი არავინ გამოჩნდა, მიხვდნენ, რა საქმეც დაემართათ. ჰოდა, ვაჟკაცის სახელი რომ არ შეჰბღალვოდათ, ერთმანეთს შეჰფიცეს, ენისთვის კბილი დაეჭირათ და ეს ამბავი მანამ არ გაემხილათ, სანამ შემთხვევით არ წამოსცდებოდათ.